ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

10/51

ქ. თბილისი 2 ივნისი , 2015 წელი

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „ქონების მართვის სააგენტო“ (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის კარლო ლაფერაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისი“ (შემდგომში – მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი გურჩიანის სახით ვხელმძღვანელობთ სახელწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3-ე „თ“ პუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას ვდებთ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების საფუძველზე, სააგენტოს საკუთარი შემოსავლებით, ავტომანქანის რემონტის მომსახურების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და თანდართული ინვოისის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია ავტომანქანის სახ. № BVB-322 (JTNBF4FK903024542) ძრავის ზეთისა და ფილტრის შეძენა/შეცვლა, დანართის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2015 წლის 5 ივნისამდე. (CPV 09200000)

1.3 ხელშეკრულების დანართი არის მიმწოდებლის 2015 წლის 1 ივნისის №11595 ინვოისი და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 140 ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2015 წლის 5 ივნისამდე.

4.2 მომსახურების გაწევის ადგილად ითვლება ქ. თბილისი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „ქონების მართვის სააგენტო“-ს მთავარი სპეციალისტი მერაბ როგავა.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი.

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ამ უკანასკნელის მიერ მომსახურების გაწევისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 30 (ოცდაათი) დღისა.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

6.4 ანაზღაურების ადგილია ქ. თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- წერილობითი ფორმით გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს მომსახურების გაწევის დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, რაზედაც უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელშიც უნდა იყოს მითითებული დამატებითი ვადები დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება/შეტყობინება.

8.3. თუ მიმწოდებელი გაფრთხილების/შეტყობინების შემდეგაც არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო/ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.5 ხელშეკრულების გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.

8.7. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 31 ივლისამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
ს.ს.ი.პ ქონების მართვის სააგენტო
მის: შარტავას №7
სახელმწიფო ხაზინა TRESGE22
ა/ნ 200122900
კოდი: LBRTGE22
ს/კოდი: 205296375

მიმწოდებელი:
შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისი"
ს.ს. „საქართველოს ბანკის
ცენტარლური ფილიალი"
ა/ა № GE83BG0000000121227200
კოდი: BAGAGE22
ს/კოდი: 211346220

სააგენტოს უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

კარლო ლაფერაძე

გენერალური დირექტორი

ირაკლი გურჩიანი

ცნობა

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.თბილისი 2 ივნისი 2015 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერნი ვადასტურებთ, რომ ავტომანქანის რემონტის შესყიდვის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისთან“ არ ვიმყოფებით ინტერესთა კოფლიქტში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

კარლო ლაფერაძე -

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

ანა მიქელაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ეკონომიკური-რესურსების მართვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი

მერაბ როგავა -

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული განყოფილების წამყვანი სპეციალისტი

ვლადიმერ კილასონია -